№ 9695/4-7
19.07.17

ბატონ არჩილ ყარაულაშვილს,
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს

ქალბატონ ლია გიგაურს,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს

ბატონ შალვა ხუციშვილს,
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო ბერძულს,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს

ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს,
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს ტექნიკური და
სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამილა ბარკალაიას,
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელს

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტები ვგეგმავთ საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ანგარიშის ერთობლივ საკომიტეტო მოსმენას. სხდომაზე განხილული იქნება ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი მიმართულებები: პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები, თანასწორი მოპყრობა, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვა.

საკომიტეტო მოსმენა დაგეგმილია 2017 წლის 21 ივლისს 15 საათზე, საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზში.

სხდომაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულების თაობაზე მათ მიერ მომზადებულ ანგარიშს წარმოადგენენ.

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ღონისძიებაში და წარმოადგინოთ ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულებასთან დაკავშირებით თქვენი უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით,

თამარ ხულორდავა

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

აკაკი ზოიძე

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე